ხელშეკრულება № 183
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, **საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური** (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა #83ა, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 205350699), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი სამსახურის საფინანსო უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ამირანაშვილის სახით და მეორეს მხრივ

შემსრულებელი: შპს ქუდოს ჯორჯია, საიდენტიფიკაციო კოდი: 406240884;

მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 61, ტელ: 599 934 595;

დირექტორი: ანა ოსიყმიშვილი

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი: TBCBGE22; ანგ. ნომერი: GE 14 TB 7648 5360 8010 0009;

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" - შემსყიდველ ორგანიზაციასა და შემსრულებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4 „შემსრულებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.2 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2 ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად აუდიტორული მომსახურების შესყიდვა (CPV-79212000);

2.2 **ხელშეკრულების ღირებულება: 1 770 (ათასშვიდას სამოცდაათი) ლარი;**

2.3 **დაფინანსების წყარო - 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;**

2.4 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევისათვის საჭირო ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა გადასახადებს - დღგ-ს ჩათვლით.

3 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და **მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4 მომსახურების გაწევის პირობები და ხარისხი

4.1 შემსრულებელი ვალდებულია გაუწიოს შემყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება ხარისხის სრული დაცვით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

4.2 მომსახურების გაწევის ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე;

4.3 მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N83ა;

4.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5 უხარისხოდ გაწეული მომსახურება

5.1 შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

5.2 უხარისხოდ გაწეული მომსახურების შემთხვევაში, შემსრულებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე **უმოკლეს ვადაში** განახორციელოს უხარისხოდ გაწეული მომსახურების წუნის გამოსწორება და გაწეული მომსახურება შეუსაბამოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი, ინსპექტირების ჯგუფი

6.1 შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი (ინსპექტირების ჯგუფი), კერძოდ: **შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.**

6.2 ინსპექტირების ჯგუფი გაწეული მომსახურების ინსპექტირებას ახდენს სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ;

6.3 შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი საექსპერტო კვლევა;

6.4 კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით მომსახურების გაწევის პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას;

6.5 შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 გასაწევი მომსახურების ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

7.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის გაწეულ მომსახურებად არ ითვლება უხარისხო (წუნდებული) ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო მომსახურების გაწევა. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულზე მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმდება;

7.3 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირ(ებ)ი - **შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი;**

7.4 შესყიდვის მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

8 ანგარიშსწორება

8.1 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით;

8.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო;

8.3 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში;

8.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ანაზღაურებისათვის სათანადო დოკუმენტაციის (შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა ან/და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის) წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს **10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;**

8.5 შემსრულებელი ვალდებულია სასაქონლო ზედნადებზე (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე) მიუთითოს წინამდებარე ხელშეკრულების ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ზემოაღნიშნული საგადასახადო დოკუმენტი;

8.6 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ გაწეული მომსახურების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს შემსყიდველის მიერ დადასტურებული აქტი.

9 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა და მის გარეშე;

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

9.4 ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

9.5 ხელშეკრულების ღირებულების შემცირება დასაშვებია ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით;

9.6 იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება ხელშეკრულებით გათვალისიწნებული მომსახურების საერთო რაოდენობის გაზრდა ან შემცირება, ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების მიხედვით, ხოლო რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთეულის ფასი არ გაიზრდება;

9.7 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც განხორციელებულია ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და მოთხოვნილი ხარისხის შესაბამისად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება პირგასამტეხლო, რომლის ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების პირობების ამ მუხლში;

10.3 თუ შემსრულებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პირობებს ვერ შეასრულებს (შესრულების ვადა, მომსახურების ხარისხი...) ან/და დაარღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

10.3.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და შემსრულებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო თანხის **10%-ის** ოდენობით ან

10.3.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში, შემსრულებელს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დააკისროს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **1%**–ის ოდენობით.

10.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

10.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.4.2 შემსრულებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.5 ამ მუხლის 10.5. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება;

10.6 პირგასამტეხლოთი დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნული თაობაზე გადაწყვეტილების შეტყობინებისა და გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

10.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს შემსრულებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11 ხელშეკრულების ადრეული შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

11.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს პირგასამტეხლოს გამოყენებას და შემსრულებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას;

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

12.4 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით;

12.5 შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ამ მუხლით განსაზღვრული ფორს-მაჟორული გარემოება მხედველობაში მიიღება, თუ

შემსრულებელი წარმოადგენს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, ფორს-მაჟორული გარემოების დადასტურების/დამოწმების შესახებ შესაბამის დოკუმენტაციას.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

14 სხვა დებულებები

14.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;

14.3 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

14.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;

14.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა; 14.6 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მხარეები:

შემსრულებელი:

შპს ,,ქუდოს ჯორჯია“

Ana Osiqmishvili 01017010938

Digitally signed by Ana Osiqmishvili
Date: 2023.02.20 16:28:18

შემსყიდველი:

შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური